ბრძანება:**ბ24. 24261338**
თარიღი:**13/05/2026**

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის რეორგანიზაციის დაწყების შესახებ

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის განვითარების, მოქალაქეზე და მის საჭიროებებზე ორიენტირებული ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებისათვის აუცილებელია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურებში ინსტიტუციური ცვლილებების განხორციელება, შესაბამისი სამსახურების მიზნებისა და ფუნქციების, საჯარო მოსამსახურეთა უფლება-მოვალეობების ახლებური განსაზღვრა და ჩამოყალიბება, ასევე, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის მთლიანად ან/და ნაწილობრივ ახალი სტრუქტურის ჩამოყალიბება, შტატების გადაადგილება ან/და შემცირება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 103-ე და 104-ე მუხლების შესაბამისად:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1.დაწყებულ იქნეს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის რეორგანიზაციის პროცესი.

2.ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის რეორგანიზაციის პროცესი კანონმდებლობის შესაბამისად განხორციელდეს:

ა) პირველი ეტაპი - რეორგანიზაციის დაგეგმვა;

ბ) მეორე ეტაპი - რეორგანიზაციისათვის აუცილებელი სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება და ორგანიზაციული სტრუქტურის პროექტის შემუშავება.

გ) ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის რეორგანიზაცია დასრულდეს მერიის საქმიანობის მარეგულირებელ სამართლებრივ აქტში ან/და საშტატო ნუსხაში განხორციელებული ცვლილებების კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლით.

3.შეიქმნას რეორგანიზაციის განხორციელებაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

ა) ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერი დათო კოდუა;

ბ) ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ნუგზარ გაბელია;

გ) ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე გიორგი ხვიჩია;

დ)ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ბესიკი ჭეჟია;

ე) ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი თენგიზ შანავა;

ვ) ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი ირაკლი ამანათიძე;

ზ) ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი ნათია ჩიტაია.

4.დაიწყოს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის რეორგანიზაციის პირველი ეტაპი - რეორგანიზაციის დაგეგმვა და განსახორციელებელ ღონისძიებათა გეგმის შედგენაზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვროს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი.

5.დაევალოს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსს უზრუნველყოს რეორგანიზაციის დაწყების შესახებ ბრძანების ყველა საჯარო მოსამსახურისათვის გაცნობა და საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციისთვის მიწოდება.

6.რეორგანიზაციის განხორციელებაზე პასუხისმგებელმა პირმა წინამდებარე ბრძანების ხელმოწერიდან არაუმეტეს 10 კალენდარული დღის ვადაში უზრუნველყოს:

ა) რეორგანიზაციისათვის განსახორციელებელი გეგმის შემუშავება და წარმოდგენა;

ბ) რეორგანიზაციის მეორე ეტაპის დაწყებისათვის შესაბამისი სამართლებრივი აქტის პროექტის შემუშავება, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება რეორგანიზაციის შემდგომი ეტაპების განხორციელებასთან დაკავშირებული გასატარებელი ღონისძიებები.

7.წინამდებარე ბრძანება გამოქვეყნდეს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ვებგვერდზე (http://zugdidi.gov.ge/).

8.ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

9.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის. ქ. ზუგდიდი, რ. ლაღიძის ქ. №12).

დათო კოდუა

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი